პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

30 სექტემბერი
პარასკევი
1897. მუშათა მშვიდობიანი კრების დახვრეტა დომბროვში (პოლონეთი).

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— მოსკოვის მთავრობის დადგენილებით, საქართველოს ყოველ თვიურად გამოეგზავნება რუსეთიდან 50 ათასი ფ. პური. პური მიეცემა აგრეთვე სომხეთს, აზერბეიჯანს, რკინის გზებს და ნავთის წარმოებას.

26 სექტემბერს ყარსში გაიხსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და ოსმალეთის კონფერენცია. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებად არიან ამხანაგები ელიავა და სვანიძე.

№ 173 პარასკევი, 30 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 30 სექტემბერი. 1921 წ. № 173

ყვითლები შავების სამსახურში

III

ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდებაში სიცრუის ასეთი მარგალიტებია გაბნეული: „ბოლშევიკების უსირცხვილო დეკრეტების და სამხედრო რეკვიზიციების ნიადაგზე ქვეყნის ძარცვის წყალობით, დამპყრობლებმა სულ მოკლე დროში მოაწყეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების არევდარევა, მუშაობის ნაყოფიერების შემცირება, ინდუსტრიის დაღუპვა, სასოფლო მეურნეობის სრული განადგურება. ქვანახშირის ამოღება დაეცა 87 პროცენტით. თითქმის ყველა ფაბრიკები და ქარხნები დადგნენ. სათესი მიწების დათესვა შემცირდა 50 პროცენტით. რკინისგზების ექსპლოატაცია თითქმის ნულამდეა დაყვანილი"...

ასე შესჩივიან იმპერიალისტურ ზეცას ცრუპენტელა მენშევიზმის ცრუპენტელა პოლიტიკოსები.

ჩვენ არ ვიცით, რა უფლებით იხსენიებენ მენშევიკების ლიდერები სხვის უსირცხვილობას მას შემდეგ, რაც მთელმა ქვეყანამ დაინახა მათი უსაზღვრო და უძირო უსირცხვილობა როგორც მათი სამი წლის ბატონობის დროს, ისე მათ გაქცევის შემდეგ საქართველოს სიმდიდრის გატაცებით. მაგრამ საინტერესო მათ ბრალდებაში ისაა, რომ საქ. საბჭოთა მთავრობის დეკრეტებს უსირცხვილოს უწოდებენ ისინი ალბად იმიტომ, რომ ამ დეკრეტებით განხორციელდა მსხვილი და საშუალო მრეწველობის ნაციონალიზაცია, ე. ი. მსხვილი და საშუალო სამრეწველო დაწესებულებათა ჩამორთმევა კერძო მესაკუთრეთაგან და მუშურ-გლეხური რესპუბლიკის განკარგულებაში გადასვლა. ამაში უნდა იყოს მაწანწალა მეშჩანების ბრძნული შეხედულებით ჩვენი უსირცხვილობაც და ჩვენი მომაკვდინებელი ცოდვაც ბურჟუაზიის უწმინდეს და საღვთო საკუთრების წინაშე.

ეს ასეც არის. ჩვენ შეუნდობარი ცოდვილნი ვართ და უსირცხვილონი, რადგან ნამდვილად ჩამოვართვით კერძო მესაკუთრეებს მსხვილი და საშუალო წარმოება, და გადავეცით მშრომელთ. ჩამოვართვით მიწა მათ, ვინც თითონ არ მუშაობდა და გადავეცით მიწაზე მშრომელთ. ჩამოვართვით დიდი სახლები მათ პატრონებს და შიგ მშრომელნი ჩავასახლეთ. მეშჩანებს და იმპერიალისტების ლაქიებს ეს მეორე მოსვლათ ეჩვენებათ, ისინი თავზარდაცემული არიან. ეს გასაგებია.

მაგრამ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ქართველ მენშევიკების დოინჯ შემოყრილი ტრაბახი და თვითმოწონება ყვითელი ინტერნაციონალის დელეგატების წინაშე, რომელნიც შარშან ესტუმრენ მათ აქ მათ სამეფოში: მრეწველობის 80 პროცენტი უკვე სახელმწიფოს ხელშია გადასული, დანარჩენსაც მალე ჩამოვართმევთ კერძო მესაკუთრეებს, ნამდვილი სოციალიზმი აქ, საქართველოში განვახორციელეთ ჩვენ!

ამ კვეხნას რომ რაიმე საფუძველი ჰქონოდა ჩვენ, კომუნისტებს ნაციონალიზაციით არაფერი დაგვრჩებოდა და თუ დაგვრჩა და კიდეც გავატარეთ ნაციონალიზაცია და ამით გამოვიწვიეთ ბრაზმორეული მენშევიკების რისხვა, ეს ყოველ შემთხვევაში მოწმობს იმას, რომ მენშევიკები ბოროტებით არ სთვლიდნენ ნაციონალიზაციას, თუ კი თითონ [illegible] ევროპის ბურჟუაზიის კარნახსა და ჩურჩულს ქვეშ. დღეს კი ისინი ხელაპყრობით მიმართავენ იმავე ბურჟუაზიას: გამოძრავე შენი შავი ჯარები საქართველოს დასაპყრობად; ხომ ხედავ, რომ უსირცხვილო ბოლშევიკებმა ჩემი და შენი სახრავი მუშებს და გლეხებს გადასცენო!

შეიძლება ჩვენ, კომუნისტები, მენშევიკებთან შედარებით უნიჭო და უუნარო ხელმძღვანელები ვართ წარმოების და მეურნეობის? შეიძლება მათ აყვავეს საქართველო, გააჩაღეს მრეწველობა, წელში გამართეს სოფლის მეურნეობა, ჩვენ კი დავსცით ეს წარმოება, დავქსაქსეთ წარმოებითი ძალები და დაღუპვამდე მივიყვანეთ გლეხის მეურნეობა? გავსინჯოთ ეს ბრალდება, რომელიც მოწოდების ავტორებისათვის წინასწარ დამტკიცებული და ეჭვმიუტანელია.

მენშევიკები ბატონობდენ საქართველოში მთელი სამი წლიწადი. მათ დაეპატრონენ [illegible] სიმდიდრეს, რაიც დაგროვილი იყო აქ, ჩაიბარეს ქვეყანა, რომელიც შედარებით ძლიერი იყო. მათ ყოველგვარ დახმარებას უწევდენ მდიდარი ბურჟუაზიული სახელმწიფოების მთავრობები. რა ისაქმეს, რა მოიმოქმედეს, როგორ წასწიეს წინ მრეწველობა და საერთოდ მეურნეობა ასეთ ხელსაყრელ პირობებში?

შექმნეს ერთი ქარხანა მაინც, გარდა იმ სახუმრო საპნის ქარხნებისა, რომლებსაც აარსებდა თითეული ერობა, თითეული ქალაქის თვითმართველობა მთავრობისაგან ფულით დახმარების მიზნით, რომლების შესახებ ირონიით და სარკაზმით სავსე სიტყვა წარმოსთქვა მენშევიკების მინისტრმა ნ. ხომერიკმა ეკონომიურ თათბირზე გასული წლის ნოემბერში?

არა, არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი ზავოდი ქართველ მენშევიკებს არ დაუარსებიათ.

როგორ მოუარეს ძველ ქარხნებს? საჭიროა გავიხსენოთ ნ. ჟორდანიას საქვეყნო აღსარება იმავე ეკონომიურ თათბირზე: წარმოების ნაყოფიერება საგრძნობლად დაეცა, საუკეთესო საწარმოო დაწესებულებაში, ტფილისის რკინისგზის სახელოსნოს ზოგიერთ ცეხებში შრომის ნაყოფიერება დაეცა 60 პროცენტით, საყოველთაოდ კი — 40 პროცენტით!

ასეთი თავის პატრონობა მრეწველობის დარგში ღიარეს თვით მენშევიკებმა, ღიარეს საჯაროთ.

რა ხეირი ხვდა მათგან სოფლის მეურნეობას?

განა მათ არ მოსპეს და გაანადგურეს საქართველოში მეთამბაქოება? განა მოსპობის კარამდე არ მიიყვანეს მეცხვარეობა? განა მშრომელ გლეხობას მათგან უნახავს რაიმე და რითიმე დახმარება? და ეს იმ დროს, როცა მიწის ფონდიდან მხოლოდ ნარჩენები გადუგდეს მას და ისიც საფასურით, და დაადვეს ბეგარა მოსავალზე ერთი მეათედის სახით?

თვით ნ. ჟორდანიამ განაცხადა გასული წლის ეკონომიურ თათბირზე რომ „ჩვენ უკვე კრახამდე მივედით"-ო. ამის შემდეგ გამოლმა შემოდავება და მკერდში ხელის ცემით წივილი — ბოლშევიკებმა ჩვენი აშენებული საქართველო დაანგრიესო, დიდ დამსახურებათ უნდა ჩაეთვალოს მხოლოდ საქვეყნო კლოუნებს, რომელთაც მოსწყურებიათ, რაც არ უნდა დაჯდეს, საკლოუნო ტახტის დაბრუნება.

„რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ" — უპასუხებს საქართველოს მშრომელი ხალხი ამ უსაქმოთ დარჩენილ, გაბახულ ხუმარებს.

ყარსის კონფერენცია

სექტემბრის 26 ს ყარსში გაიხსნა ოსმალეთის დიდი ნაციონალური კრების და ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის დელეგატის თანდასწრებით. კონფერენციამ უნდა განიხილოს ამ ორ დაინტერესებულ მხარეთათვის სპეციალური ადგილობრივი კითხვები, რომლებიც ვერ შეადგენდენ საგანს 16 მარტის ხელშეკრულობით დამთავრებულ რუსეთ-ოსმალეთის კონფერენციის მუშაობისას მოსკოვში და უნდა გარჩეულ იყვნენ სპეციალურ, დღეს შეკრებილ, კონფერენციაზე ერთი მხრით ოსმალეთის, მეორე მხრით ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლების მიერ. რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულობამ მარტის შუა რიცხვებში საფუძველი ჩაუყარა ამ ორ სახელმწიფოთა კეთილ მეზობლურ, მეგობრულ ურთიერთობას და საზღვარი დაუდო ანგორის ზოგიერთი პოლიტიკოსების ლონდონსა და მოსკოვ შორის ქანაობას. ჩრდილოეთის რევოლიუციონურ ძალებზე ორიენტაციამ თავის თვალსაჩინო და ფრიად დამარწმუნებელი გამოხმაურება ჰპოვა სხვათა შორის იმ ამბავში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ოსმალეთ საბერძნეთის ფრონტზე, საკარიის მიდამოებში.

ეჭვი არ არის ყარსში გახსნილი კონფერენცია წავა მოსკოვში აღებული მიმართულებით და მის მონაწილეთა ორი ჯგუფისთვის საინტერესო სპეციფიკური ადგილობრივი კითხვები, კითხვები საზღვრების გამოსწორების შესახებ და ეკონომიური, ჰპოვებენ ორივე დაინტერესებული მხარეთათვის სასარგებლო გადაჭრას. ხოლო კონფერენციის ასეთ დამთავრებაში უაღრესად დაინტერესებული არიან როგორც სამივე საბჭოთა რესპუბლიკა, ისე მათი სამხრეთით მოსაზღვრე მეზობელი. შეგნება ამ საერთო ინტერესების იყო მიზეზი იმის რომ ოსმალეთის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ დაპირისპირებაზე კისერი მოიტეხა როგორც ლონდონმა, რამდენადაც საქმე შეეხებოდა რუსეთს, ისე ჩვენში მენშევიკურმა მთავრობამ, რომლის საიდუმლო პროვოკატორულ ზრახვას შეადგენდა თებერვლის დღეებში ერთმანეთისთვის მიესია ბათუმში ოსმალეთის ნაციონალური მთავრობის სამხედრო ძალები და საბჭოთა წითელი არმია, რათა ამით გამოესწორებია თავის დაღუპული საქმე. ამ მიზნით მან ხელთ ჩაუგდო ქიაზიმ-ბეის საქართველოს მთელი კუთხეები. პროვოკაციამ მიზანს ვერ მიაღწია, ჩვენი რევოლიუციონური მთავრობისა და მის მხარეზე გადასულ მენშევიკების ყოფილი ჯარის მოქმედების გამო. საბოლოოთ მის ჩაშლაში უმთავრესი როლი ითამაშა რუსეთ-ოსმალეთ შორის მოსკოვში დადებულმა ხელშეკრულობამ, რომლის თანახმად მარტის ბოლო რიცხვებში ეს ადგილები დატოვებული იქნენ დაბოლოს ოსმალეთის ძალების მიერ. დღეს ყარსში შეკრებილი არიან ისინი, რომელთა შუღლზე და მტრობაზე სურდათ ეგოდენ დიდ მტაცებლებს და პატარა ცუღლუტებს თავის ბატონობის ტახტი. ოსმალეთის დიდი ნაციონალური კრების წარმომადგენლები ერთი მხრით და წარმომადგენლები ძმურ საბჭოთა რესპუბლიკების მეორე მხრით კეთილ მეზობლური შეთანხმების და მეგობრული კავშირის ურთიერთ შორის ჩამოგდებით უზრუნველ ჰყოფენ თავის საზღვრების ორივე მხრივ ხელშეუხლებლობას, მით გაიმაგრებენ ზურგს, რომ ორივემ ხელი ხსნილი იქონიონ დიდი საქმეების განსაკეთებლად, რომლებიც მათ წინ სძევს საერთაშორისო ძალთა განწყობილებით დღეს შექმნილ მდგომარეობაში. საზღვრების გამოსწორება და ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის აღმდგენა ასეთია კითხვები რომელთაც გაარჩევენ შეკრებილნი დღეს ყარსში. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ეს კითხვები იქნებიან გადაჭრილი ორივე მხრის სასარგებლოთ, მათ მეგობრულ ურთიერთობათა უფრო განმტკიცებლათ, რომლის საჭიროებით ერთნაირათ არიან გამსჭვალული მმართველი წრეები როგორც ანგორაში, ისე თფილისში, ბაქოში და ერევანში.

ვინ ეხმარება საქართველოს

ბოლშევიკების ჯარი „ვერ ღებულობს რა რუსეთიდან ერთ ნატეხ პურსაც, ართმევს მოსახლეობას ყველაფერს"...

ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდებიდან.

ჩვენ გაზეთში გამოქვეყნებული იყო ამ დღეებში საფრანგეთის იმპერიალისტების გაზეთ „ტან"-ში დაბეჭდილი მოწოდება ხელმოწერილი ნ. ჟორდანიასა და კ. ჩხეიძის მიერ, მოწოდება თავიდან ბოლომდე სავსე ტყუილებით, ცილის წამებით და იმპერიალისტების წაქეზებით საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. ისინი მოუწოდებენ ევროპას დაჩაგრულ საქართველოს დასახმარებლათ. ცილის წამებასა და ტყუილს, რასაც ასე აშკარათ აბნევენ ევროპაში მათი ლიდერები, უფრო მორცხვათ, მარა დაჟინებით, იმეორებენ აქაც ჩვენებური მენშევიკები, პროვოკატორები და ხალხის მტრები. ერთი ჭორი, რომელიც მათ მოსდევს საქართველოს არის ის, რომ ბოლშევიკებმა გაზიდეს რუსეთში ხალხის მთელი სარჩო საბადებელი. ყველასათვის ვინც იცის საქმის მდგომარეობა ჩვენში, ცხადია მთელი უსაფუძვლობა ასეთი ხმების. ის წითელი არმია, რომელსაც ასე წარბშეუხრელად ბრალსა სდებენ ჩვენი ხალხის მტრები, არა ერთხელ თავის საკუთარი მარაგიდან დახმარებია რესპუბლიკას და ციფრებიც ამ დახმარების შესახებ გამოქვეყნებული იყო თავის დროზე ჩვენს გაზეთში. როგორც მკითხველი დარწმუნდება ქვემოთ მოთავსებულ დეპეშებიდან, რომლებიც მიიღო ჩვენმა მთავრობამ დღესაც რუსეთის ხალხი და მისი მთავრობა, მიუხედავად იქ მძვინვარე სიმშილისა, გვიწვდის დახმარების ძმურ ხელს. რუსეთის მაგალითზე, იმაზე თუ როგორ „ეხმარებიან" ევროპის იმპერიალისტები — რომლებსაც ფაქტიურათ მიმართავენ ჟორდანია-ჩხეიძეები საქართველოს დასახმარებლათ — ამ მაგალითზე ჩვენი ხალხი დარწმუნდება თუ რა საფრთხე მოელის ქვეყანას მათი დახმარებით: ეს არის ხალხის გაძარცვა, მისი ხელახალი დამონება. ამას ცდილობენ მენშევიკები აქ, მათი ლიდერები ევროპაში. იმპერიალისტებისა და მათი ლაქიებისაგან ჩვენი ხალხი არაფერს მოელის გარდა ტყვეობისა და ახალი ხუნდებისა. ჩვენი ხსნა არის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირში, მათ ურთიერთ სოლიდარობაში და დახმარებაში. ამის დამამტკიცებელ საბუთს ერთხელ კიდევ ზედმიწევნით იძლევა ის დახმარება, რომელიც მოდის თვით დამშეულ რუსეთიდან ჩვენი რესპუბლიკებისათვის, კერძოთ საქართველოსათვის, მთელი ჩვენი მშრომელი ხალხისათვის.

თანამშრომელი.

როგორ „ძარცვავს" რუსეთი საქართველოს

(ჟორდანია-ჩხეიძის ჭორების საილიუსტრაციოთ)

დეპეშა მოსკოვიდან № 11837 | 228 | 99—40 საქართ. რევკომ—წივწივაძეს.

თქვენთან ერთად უკრაინის სახალხო სასურსათო კომისარიატს ეცნობა, რომ თბილისში თქვენ სახელზე გადაგზავნილია 150,000 ფუთი პურის ფქვილი, ისე რომ თვიური მოთხოვნილება ე. ი. ერთ-მეს. ზემო აღნიშნული რიცხვისა უნდა იქნეს დატვირთული და გაგზავნილი არა უგვიანეს ა. წ., 15 ოქტომბრისა. სულ უნდა გადაგზავნილი იქნეს თვენახევარში. ტვირთის მისაღებად და წამოსაყვანად გაგზავნეთ ხარკოვში თქვენი რწმუნებული. პურის გადმოგზავნის საქმე შეთანხმებულია მოსკოვში ამხ. მდივანის და ორჯონიკიძის მიერ.

სურსათის განაწილების კომისარი
ხალათოვი.

საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილებიდან

საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ქვთარაძის სახელზე მოსკოვიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „მოსკოვმა დაადგინა გზავნოს ყოველთვიურად საქართველოსათვის 50 ათასი ფუთი პური, სომხეთისათვის—25,000, აზერბეიჯანისათვის—50,000 ფუთი, ნავთის წარმოების მუშებს 50,000 ფ. ამიერ-კავკასიის რკინის გზელებისათვის 50000 ფუთი, და ცალკე ჯარსაც. ამ მიზნის განსახორციელებლად სახალხო სასურსათო კომისარიატს მიეცა წინადადება ერთი მილიონი ფუთი პურის გაგზავნის შესახებ უკრაინიდან იმ პირობით, რომ სამარშრუტო მატარებლები ორთქლმავალებით და საჭირო მუშების რაოდენობით სასწრაფოდ იქნეს გაყოლებული დასატვირთავად და დასაცავად. 150 ათასი ფუთი ბაქოს მუშებს და რკინის გზელებს უკვე გაეგზავნა.

ორჯონიკიძე, მდივანი.

ყარსის კონფერენციის გახსნა

თბილისი. 28 სექტემბერი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და ოსმალეთის კონფერენცია გაიხსნა 26 სექტემბერს ყარსში. კონფერენციის შემადგენლობა ასეთია: ოსმალეთის დიდი ეროვნულ ყრილობის მთავრობისაგან—დელეგაციის თავმჯდომარე კიაზიმ კარა ბეკირ-ფაშა (აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი); დელეგაციის წევრები: მენდუხ შეფკეთ ბეი (ოსმალეთის წარმომადგენელი ბაქოში), ველი ბეი (ოსმ. დ. ე. ყრილობის დეპუტატი ქ. კოლდურიდან), მუხტარ-ბეი (საზოგადო სამუშაოთა მინისტრის ამხანაგი).

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკიდან არიან ამხანაგები: ელიავა და სვანიძე; აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკიდან—ამხ. შახტახტინსკი; სომხეთის ს. ს. რესპუბლიკიდან—ამხ. მრავიანი და მაკინციანი.

რ. ს. ფ. ს. რ.—დან ესწრება ამხ. განეცკი (სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში).

ორივე მხრიდან მისასალმებელ სიტყვების და რწმუნებათა გაცვლის შემდეგ აირჩიეს კომისიები: სასაზღვრო და ეკონომიური. (ბ. პ.)

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

ფოთი

საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო მენშევიკებისაგან მემკვიდრეობათ ფოთში თითქმის ნახევრათ დანგრეული სამი ხიდი მდინარე რიონზე და საშინელ მდგომარეობაში ყველა გზები. ფოთის რევკომმა მაშინვე ხელი მოჰკიდა ხიდების შეკეთებისათვის მუშაობის სამზადისს. მცირე საშუალებების გამო შესძლო მხოლოდ დამზადება ჯერჯერობით საჭირო მასალებისა, რის შემდეგაც რევკომმა მიმართა დასახმარებლათ საზღვაო სამხედრო კომისარიატს. დიდი ხანი არ არის ფოთში მოვიდნენ მესანგრენი, რომლებიც შეუდგნენ ხიდების შეკეთებას. ამ მუშაობა, რომელიც ხდება მცხოვრებლების ფართე წრის თვალსაჩინოთ, არის საუკეთესო აგიტაცია საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ. წითელი ლაშქარი არა მარტო იბრძოდა მშრომელთა განსათავისუფლებლათ, იგი აგრეთვე კარგათ მოქმედობს მეურნეობის დარღვეულ ფრონტებზე, უწევს რა ყოველგვარ დახმარებას მუშებს და გლეხებს.

— განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფოთის ნავთსადგურს. ეს საუკეთესო ნავთსადგურია საქართველოში, უდიდესი და მშვენივრათ მოწყობილი საწყობებით და ნავთსადგური კი ამ ჟამათ არ მოქმედობს. გემებს ეშინიათ იქ შესვლისა, საჭირო სიღრმის იმედი არა აქვთ, მაშინ როდესაც ახალმა გაზომვამ დაგვანახვა, რომ მდგომარეობა ფოთის ნავთსადგურისა ეგრე სამწუხარო არ არის: შესავალში სიღრმე სულ მცირე 25 ფუტია და სადგურთან 20. საბჭოთა ხელისუფლების მტრები კი ავრცელებენ ხმებს, რომ სიღრმე 12 ფუტს არ აღემატებაო. გერმანული გაზეთები აღნიშნავენ ფოთის ნავთსადგურის დიდმნიშვნელობას და იმ მუშაობის სიმცირეს, რომელიც საჭიროა იმის გასაუმჯობესებლათ. ამ ჟამათ ფოთში მოგროვდა დიდძალი შავი ქვა. იმის გატანა გააცხოველებს არამც თუ ფოთის ნავთსადგურს, არამედ საერთოდ სავაჭრო-ეკონომიურ ცხოვრებას საქართველოში.

ახალ-სენაკი

სახალხო განათლების საქმე.

გახსნილია 157 სამკითხველო, საბავშვო ბაღი გუნდით და ორკესტრით. ზაფხულში მასწავლებელთათვის მარტვილის მონასტერში გახსნილი იყო სანატორიუმი. სამოსწავლო წლის მუშაობა ნორმალურათ მიდის. მაზრაში ზოგ ადგილას ხალხი თვითონ თაოსნობს სკოლების შენობების აშენებას. ემზადებიან მაზრაში კიდევ ორი საბავშო ბაღის, 31 პირველ დაწყებით სკოლის და სახალხო უნივერსიტეტების გასახსნელათ. განზრახულია აგრეთვე გახსნან ახალ სენაკში სამასწავლებლო კურსები. მუშაობა სწარმოებს დიდი სიჩქარით.

ზუგდიდი.

22 სექტ. (დეპ.) კავკასიის ცალკე ლაშქრის 3 წლის თავის საპატივსაცემოდ ზუგდიდში გაიმართა დიდი დღესასწაული. სექტემბრის 21 დილის 10 საათზე რევკომის ქვეკომიტეტში, საბჭოთა მოსამსახურენი და № ბრიგადა სრული შემადგენლობით შეიკრიბნენ საბავშვო მოედანზე, საიდანაც დროშებითა და რევოლიუციონური სიმღერებით გაემართნენ სასაფლაოსაკენ. აქ ადგილობრივ რევკომისა, პარტკომიტეტისა და წითელი ლაშქრის წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს სიტყვები. აქედან პროცესია გაემართა ქალაქის მოედანზე, სადაც აგრეთვე წარმოთქმულ იქნა სიტყვები. პროცესია დაიშალა დღის 2 საათზე. იმავ საღამოს გაიმართა დიდი კონცერტი წარმოდგენა. კონცერტში მიიღო მონაწილეობა ადგილობრივ სახალხო მომღერალთა გუნდმა. წითელ არმიელებს დაურიგეს პური, ხილი და სხვა.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.

თბილისი, 28 სექ. ანგორის წარმომადგენლობა საქართველოში შემდეგ ოფიციალურ ცნობებს გვაწვდის დასავლეთის ფრონტზე მდგომარეობის შესახებ:

ანგორა, 22 სექ. (რადიო). ესკი-შეხირის აღმოსავლეთით, მტრის ჯარი, ჩვენი ცხენოსანთა ნაწილების მიწოლის გამო, იძულებული იყო უკან დაეხია და უწესრიგოდ გაფანტულიყო, ამასთან ტყვეები ჩაგვივარდა ხელში. დუმლუპინარზე შემტევმა ჩვენმა ნაწილებმა მტერს მეტად საგრძნობი ზიანი მიაყენეს. ამ რაიონში რკინის გზის ხაზი რამოდენიმე ალაგას დანგრეულია ჩვენი რაზმების მიერ.

ტრაპიზონი, 27 სექტ. (რადიო) (ოფიციალური ცნობა). ჩვენმა საარტილერიო ცეცხლმა დიდი ზიანი მიაყენა მტერს, რომელიც ესკი შეხირის აღმოსავლეთით მაგრდებოდა. აფიონ-კარა-გისარის მიმართულებით, ჩაისა და ბულ-ბაჯაკიდან განდევნილ მტერს წავართვით 5 ტყვიის მტყორცნელი, პატრონების და სურსათის დიდი რაოდენობა (ბ. პ.).

ტრაპიზონი, 26 სექტ. (რადიო). უკან დახეული მოწინააღმდეგე თავს ყრის ესკი-შეხირის აღმოსავლეთით. მტრის ნაწილები, რომლებმაც მარცხი განიცადეს სიიდ-გაზისთან, შეუერთდნენ ახლახან ფრაკიიდან გამოწვეულ ერთ-ერთ საუკეთესო დივიზიის შემადგენლობაში. გამოირკვა, რომ ეს დივიზია მეტად დაზარალებულია. მტერი, რომელსაც ეჭირა აფიონ-კარა გისარის მიმართულებით ჩაი და ბულბაჯა, ჩვენი ძალების მიწოლის გამო, იძულებული იყო უკან დაეხია. ორივე ეს პუნქტები დაჭერილია ჩვენ მიერ. მტრის დევნა გრძელდება.

სანდიკლის მიმართულებით ჩვენმა არმიამ დაიკავა არაჯა პაშაკას ხაზი მოწინააღმდეგემ, რომელსაც ხაზი ეკავა, დაიხია გიარ მახმუდისაკენ.

ირლანდია

გაფიცვები ირლანდიაში

კორკი. 28 სექ. (რადიო). ირლანდიის სამხრეთ რკინის გზებზე გამოცხადებულია ეკონომიური გაფიცვა.

გერმანია

კატასტროფა ოპპაუში

რომი. 27 სექ. (რადიო) მიღებული ცნობებით, ოპპაუში მომხდარ აფეთქებით მიყენებული ზარალი უდრის ორას მილ. ოქროს მარკას.

ახალი ომის შეუძლებლობა

ნაუენი, 23 სექ. (რადიო). გენერალმა ლიუდენდორფმა გაზ. „მატენ"-ის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა ახალი ომის—რევანშის სრული შეუძლებლობა გერმანიასა და საფრანგეთის შორის. გერმანია ტექნიკურად მოკლებულია საშუალებას იომოს ხანგრძლივ დროის განმავლობაში. რევოლიუციის ამბებმა, საზავო ხელშეკრულობის დადების შემდეგ, ნათლად დაგვანახვეს ევროპიულ ხალხების ერთმანეთისაგან ეკონომიური დამოკიდებულება. ამის გამო დიდი მნიშვნელობა ეძლევა საკითხს, რა ფორმებში ჩამოყალიბდება ინგლისა, საფრანგეთისა და გერმანიას შორის დამოკიდებულება და შესძლებენ თუ არა ეს ქვეყნები წარსული დაივიწყონ, ყველასათვის ერთნაირად საჭირო ეკონომიური ურთიერთობათა აღდგენის მიზნით ევროპაში.

შემდეგ ლიუდენდორფმა მიუთითა რომ ბოლშევიკური საფრთხე გაცილებით უფრო სერიოზულია, ვინემ ბევრს ჰგონია. ეკონომიური ბრძოლა ბოლშევიზმთან შეუძლებელია მანამდე, სანამ უმთავრეს ევროპიელ სახელმწიფოთა შორის არსებობს მტრობა, რომელსაც დასასრული არ უჩანს.

პოლონეთი

პილსუდსკიზე თავდასხმა

მოსკოვი. 28 სექ. (რადიო). ლვოვში მოხდა თავდასხმა პოლონეთის სახელმწიფოს უფროს პილსუდსკიზე, რომელიც მიემგზავრებოდა ავტომობილით ჯარის წინამძღოლ გრაბოვსკისთან ერთად. თავდასხმა მოახდინა უცნობ ახალგაზრდამ, რომელმაც 4 ჯერ გაისროლა, ერთი მათგანი დაეჭრა თავში—გრაბოვსკი. პილსუდსკი უვნებელი დარჩა. თავდამსხმელი დაიჭირეს. მან თავისთავს უწოდა პოლიტექნიკუმის სტუდენტი სტანისლავ ფედორუკოვი, უკრაინელ ბანკის დირექტორის შვილი.

რომი. 27 სექ. (რადიო). თეატრიდან გამოსვლის დროს პილსუდსკიზე თავდასხმა მოახდინეს; ის უვნებელი გადარჩა.

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე

რომი. 27 სექ. (რადიო). ოსმალეთის ჯარები განაგრძობენ წინსვლას, მათ დაიპყრეს მნიშვნელოვანი პოზიციები. ზომებს იღებენ საბერძნეთის არმიის გარემოცვისათვის.

ქრონიკა

◆ **რკინისგზის მოძრაობის აღდგენა კახეთის ხაზზე.** კახეთის ხაზი უკვე შეკეთებულია. გზათა უფროსმა განკარგულება მოახდინა მატარებლის მოძრაობის აღდგენის შესახებ. 28 სექტემბრიდან დანიშნულია სამუდმოდ შერეული სამგზავრო—საბარგო მატარებლები, რომლებიც თბილისიდან გავლენ წყვილ რიცხვებში, ხოლო თელავიდან კენტ რიცხვებში. მატარებლის შემადგენლობა: 1 საბარგო ვაგონი, 1 საფოსტო, 3 სამგზავრო, ამას ემატება საბარგო ვაგონები. მატარებელი № 4 თბილისიდან გადის დილის 7 ნახ. ს. გურჯაანიდან საღ. 5 ს. 20 წ. და თელავში მიდის საღ. 8 ს. 38 წ. თელავიდან გამოდის 5 ს. 17 წ. და თბილისში მოდის საღ. 7 ს. 10 წ. მატარებლის მოძრაობა შეთანხმებულია წნორის—წყალის ხაზის მატარებელთან.

◆ **ვოლგის მხარის ბავშვები.** რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელთან შეთანხმებით საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი ღებულობს ვოლგის მხარეს დამშეულ 1500 ბავშვს. ბავშვები იქნებიან განაწილებული ლაგოდეხში, ბათომში, თბილისში და 1000 კაცამდე ბორჯომსა და მანგლისის რაიონში. ამიერ-კავკასიის დუხაბორები იძლევიან 1000 ბავშვის პანსიონისათვის ყველა საჭირო საგნებს: სურსათს, სათბობს, რძეს, ხორცს და სხვას.

◆ **ბავშვის კვირა.** ოქტომბრის 15 დან 22 მდის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაიმართება „ბავშვის კვირა", რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს: 1) მცხოვრებთა ფართო მასსების გაცნობა საბჭოთა ხელისუფლების პროგრამიდან ბავშვის საკითხში; 2) რესპუბლიკის ყველა მცხოვრების მიზიდვა სკოლებისა და ბავშვთა დაწესებულებების საჭირო მოწყობილებათა, სურსათით, სამოსწავლო სახელმძღვანელოებით, საკანცელარიო ნივთებით და ტანისამოსით მომარაგების საქმეში; 3) პროფკავშირების მიერ კვირაობის მოწყობა თავის წევრთა ძალებით სკოლების და ბავშვთა ბაღების შესაკეთებლად და სხვა. კვირის გასატარებლად მოწყობილია განათლების სახალხო კომმისარიატთან კომიტეტი, (ქალთა 1 გიმნაზიის პირდაპირ, ლორის მელიქოვის ქუჩა), რომელმაც გამოიმუშავა ფართო პროგრამა და იგზავნება ინსტრუქტორები პროვინციაში „ბავშვის კვირის" მოსაწყობათ.

◆ **მუშათა ფაკულტეტი პოლიტექ. ინსტიტუტთან.** სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში სამოსწავლო წლის დაწყებისთანავე გაიხსნება მუშათა ფაკულტეტი, რომლის მიზანიც არის მოამზადოს მუშები ინსტიტუტის ძირითად განყოფილებაზე ლექციების მოსასმენად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშათა მომზადებას საინჟინერო და სასოფლო მეურნეობის განყოფილებაზე მეცადინეობისთვის. ამ ჟამად მუშათა ფაკულტეტზე სწავლების პროგრამა და მეთოდები უკვე გამომუშავებულია. მთელი ყურადღება მიქცეულია იმისაკენ, რომ იგი უნდა შეეგუებოდეს მშრომელთა გაგებას და მოთხოვნილებას.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო საოპერო თეატრში. სეზონი გაიხსნება 1 ოქტომბერს სეზონის გახსნისთვის წარმოდგენილ იქნება ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი" ალ. წუწუნავას რეჟისორობით. დირიჟორობს თვით ავტორი. წარმოდგენაში მონაწილეობენ ყველა საუკეთესო ძალები ჩვენი ოპერისა, რომელიც ამ სეზონისათვის განაწილებულია და შევსებულია ახალი ძალებით, კვირას 2 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნება „ჰოფმანის ზღაპრები" ს. სტოლერმან-ს დირიჟორობით. წელს ყველა წარმოდგენები ფასიანი არის. წინასწარი გაყიდვა ბილეთებისა უკვე დაიწყო.

სახელმწიფო დრამატულ სკოლაში. 20 სექტემბერს სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოხდა გამოცდები შესასვლელ მოსწავლეთა. ქართულ სექციაში ჩაეწერა 20 კაცი, გამოცხადდა 5, მიიღეს 4. რუსულ სექციაში ჩაეწერა 125, გამოცხადდა 45, მიიღეს პირველ კურსზე 31, მეორეზე 7 მეორე და უკანასკნელი გამოცდა დანიშნულია 12 ოქტომბერს. მეცადინეობის დაწყება განზრახულია არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა, მოსწავლეთა ჩაწერას განაგრძობენ.

სააგიტაციო მხატვრული პლაკატის გამოფენაზე

სააგიტაციო მხატვრული პლაკატის პირველი გამოფენა, გამართეს რევოლიუციის მუზეუმის მე 3 ქალთა გიმნაზიის ბინაზე მეტად საინტერესოა.

დარბაზი და 4 საკლასო ოთახი უჭირავს პლაკატებს და ვიტრინებს ფულის ნიშნებით ფიცრებზე აწყვია საზღვარ გარეთულ პრესის ყოველნაირი ნიშნები რევოლიუციისა დროისა.

გამოფენა სრულიად მხატვრულ შთაბეჭდილებას ახდენს, ჩანს ფართეთ მოსაზრებული და მშვენივრათ შესრულებული საქმე.

ნამეტნავათ კარგებია წითელ ლაშქრის პლაკატები: ცხენზე რ. ს. ფ. რ. აჯანყებულთა წითელ დროშაზე. „სამი მილიონიანი წითელი ლაშქარი" სადაც რუსეთის თეთრ თოვლებზე ჩამოდიან გაზაფხულის წყლები ნიაღვრები წითელ ლაშქრისა, „ვაი დეზერტირებს", „რა გააკეთე ფრონტისთვის" და სხვა. გამოირჩევიან პლაკატები: „პოლონეთის ფრონტი", ორი პლაკატი მაიკოვსკისა „მტრებზე" და „სიკვდილი მოსყიდულ მკვლელებს", „მშვენიერი კაზაკის სიმღერა", საინტერესოა პლაკატები—კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლის განყოფილებისა, სადაც დენიკინი, კოლჩაკი და ვრანგელი გამოყოფილ არიან ცალკე ჯგუფებად. განყოფილებაში: „ბრძოლა ანტანტასთან", კარგებია პლაკატები—„ზავის ნიღბის ქვეშ" მშვიდობიანი ინგლისელები, „ანტანტა" და სხვა. განსაკუთრებით მხატვრული მნიშვნელობა აქვთ კულტურულ განმანათლებელ განყოფილების პლაკატებს, კლასიური პლაკატის განყოფილება ყურადღებას იქცევს შემდეგი პლაკატები—„წითელი მაინელი" და „მშრომელი ხალხის მხრებზე". კავკასიის პლაკატის განყოფილება გაყოფილია ჯგუფებათ: აზერბაიჯანისა და საქართველოსი და მოსკოვის პლაკატი „კავკასიის შესახებ".

მხატვართაგან, რომელთაც უმუშავნიათ პლაკატებისთვის ყურადღების ღირსნი არიან—მოორი, კაჩეროგინი, დენისოვი, ლიუბიმოვი, რადაკოვი და მაიკოვსკი, გამოფენის მნიშვნელობა დიდია. სასურველია მოწყობა მასიური ექსკურსიებისა გამოფენის სანახავათ. სამხედრო ნაწილების და მუშათა ორგანიზაციების მიერ.

მუშათა კოოპერაცია

თბილისის მუშათა კოოპერატივი იწყებს მოქმედებას. ცენტრალური გამგეობა თითქმის 12 ივლისიდან შეუდგა კოოპერატივის მოწყობას და შეიძინა მასალა და მოიმარაგა საკვიტანციო წიგნაკები, საწევრო წიგნები ანკეტები და სხვა რაც საჭირო იყო საქმის დაწყებისთვის. წევრების ჩაწერა დაიწყო 1 ენკენისთვიდან. ჩაწერა ხდება შემდეგ ნაირათ:

ადგილკომებს და ფაბკომებს მოაქვთ გამგეობის შენობიდან (კირკის ქუჩა № 7) ანკეტის ფურცლები; ადგილებზედ მუშები და თანამშრომლები ავსებენ თავის ანკეტებს; ადგილკომები აგდებენ მათზედ სიას ანბანის რიგით და ანკეტები სიით და ფულით მოაქვთ კოოპერატივის საფინანსო განყოფილებაში, სადაც წევრებს დაწესებულების მიხედვით ანაწილებენ რვა დუქანზე. ეს დუქნები უნდა შეიქნენ სარაიონო იქნებიან, მათ ირგვლივ კოოპერატიული მუშაობა უნდა გაჩაღდეს, როგორც კი დუქანს მიეწერება არა ნაკლებ 300 წევრისა. სულ რვა დუქანს 2400 სა მოხდება სარაიონო კრებები, რომელნიც ამოირჩევენ სადუქნე კომისიებს და რწმუნებულებს ცენტრალური გამგეობის ასარჩევათ; აქედან დაიწყება მუშათა კოოპერატივის იურიდიული არსებობა; დროებითი გამგეობა მოწადინებულია მალე დაამთავროს ეს ორგანიზაციული ხანა და კოოპერატივი ბატონ-პატრონს ჩააბაროს, მხოლოდ ამას ხელს უშლის ადგილკომების გულცივობა: მართალია 220-225 ადგილკომში გაიტანა უკვე 20.000—21.000 საანკეტო ფურცელი, მხოლოდ 185—200 დე წევრები ჩაწერა 6 თუ 7 ადგილკომმა და ჯამით ერთ მილიონამდე ფული შემოიტანა. ჩაწერილი წევრთა რიცხვი სულ უმნიშვნელო პროცენტია ჩასაწერებთან შედარებით. ადგილკომები უნდა დაეხმარონ დროებითი გამგეობას და წევრების ჩაწერა საჩქაროთ დაამთავრონ და მით შეუწყონ ხელი კოოპერატივის ფინანსების გაძლიერებას. კოოპერატივს არავითარი ფინანსიური რესურსი არ მოეპოვება, მაშინ როდესაც ფულის ნიშნებზე ის დიდ მოთხოვნილებას განიცდის და ის 120 მილ., რომელიც უნდა შემოსულიყო წევრებისაგან დიდ შეღავათ მისცემდა მას. სასურსათო კომისარიატიდან დახმარება არის ფულით და საქონლით; სულ 1 ენკენისთვიდან კოოპერატივმა მიიღო 55 მილიონი; იძულებული შეიქნა აგრეთვე ბანკიდან 27 მილიონი სესხათ აეღო, რომლის პროცენტი, კომისია და პოსტო შეადგენს 1 მილიონს. ყველაფერი ეს ზედ მეტ ხარჯათ აწვება კოოპერატივს.

სავაჭრო დარგის გამოყოფა და მოწესრიგება დამთავრდა შემსყიდველი აპარატი უკვე მოქმედობს, რვა რწმუნებული საქონლით და ფულით გაიმგზავრენ პროვინციებში სოფლის ნაწარმოების შესაძენათ; ზოგიერთი საქონლის მომწოდებისაგან უკვე მიიღეს სოფლის ნაწარმოებზედ გადასაცვლელი, თანახმათ დადებული პირობისა კაუსტიური სოდა, რომელიც გადაგზავნილი იქნა პროვინციებში. კოოპერატივმა მიიღო გადასაცვლელათ პურზე, ლობიოზე, კარტოფილზედ და სხვა სოფლის ნაწარმოებზედ მაისის, ივნისის. მუშების საპრემიო ფაბრიკატები: პაპიროსი, თამბაქო, ტყავი, ჩითი, ფეხსაცმელი. გადაცვლის ოპერაციებს ფრთხილათ უნდა გატარება, რადგან აქ კოოპერატივს მოეთხოვება ორგვარი ოპერაციები: საქონლით აქციოს ფული, ფულით შეიძინოს სოფლის ნაწარმოები, ეს უნდა ხდებოდეს ერთ დროს და მიზან შეწონილათ. ზოგიერთ საქონელს, რომელსაც არ ექნება ან ცოტა ექნება გასაღება საქართველოს გლეხობაში, გაიტანენ ბაქოში და სპარსეთში მაგ. პაპიროსი, თამბაქო და განზრახვა აქვთ შემოიტანონ ბრინჯი, საპონი და სხვა. ამ დღეებში რაც საქონელი აქვს კოოპერატივს დარიგდება და დუქნებში ვაჭრობას დაიწყებენ.

საფინანსო განყოფილებაში ბუხგალტერიის შტატი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, რადგან საჭირო მუშაკებს ვერ ვპოულობთ: გამგეობას სურვილი აქვს წიგნები აწარმოვოს ქართულ ენაზედ თუ რაიმე ტეხნიკური დაბრკოლება არ გადაეღობება წინ. მიღებულია ზომები ქართული ენის მცოდნე ბუხგალტერები და მოანგარიშეები იშოვოს, სხვათა შორის ამისთვისაც გამგეობა ცდილობს რომ მატერიალურათ თანამშრომელნი უზრუნველჰყოს. საინსტრუქტორო განყოფილება შედგება სამი ინსტრუქტორისაგან; მისი სადღეისო მიზანია კოოპერატივის ორგანიზაცია და სასურ. კომიტეტის ლიკვიდაცია. გამომუშავებულია სქემა კოოპერატივის; განყოფილებები განაწილებულია გამგეობის წევრთა შორის შემსყიდველი განყოფილებას განაგებს გამგენეკრიერისთვი, საფინანსო ბატოევი, წარმოებათა დარგს ეკიმოვი, სადუქნო და საწყობების ოპერაციებს განაგებენ ბატოევი და ხიდირბეგოვი. ამ განყოფილებაში როგორც სექცია შედის ქარავანი საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას განაგებს შენხონი საინფორმაციო სექციით, საწყობის ოპერაციები ძაგანია. შრომის განაწილება გამგეობის წევრთა შორის მიზანშეწონილია, მხოლოდ კოოპერატივის არსებობს პირველ ხანაშივე სახიფათო პირობებში იმყოფება; მიუხედავად იმისა, რომ იგი „დამკვრელ" დაწესებულებათ ირიცხება, გამგეობის წევრები სხვა და სხვა ორგანიზაციებში მუშაობენ და ეკოოპს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ბაქმოვი მუშაობს რკ. გზის კოოპერატივში, ბატოევი სასურსათო კომისარიატში და ქალ. კომიტეტში, მოგ. შენხონი საბჭოთა თანამშრომელთა პროფ. კავშირში და ეხლა ერთი თვით ავათმყოფობის გამო შეუძლობაშია. ბოლქვაძე გლავმუზეუმშია და ძაგანია კომპ. ცეკას კომპ. განკარგულებაშია ამ არა ნორმალური მდგომარეობას გამგეობა ფიქრობს არჩევნების დაჩქარებით ბოლო მოუღოს.

ქალაქის სასურსათო განყოფილების გაუქმების დაჩქარებას საორგანიზაციო განყოფილება ცდილობს. შედგენილია სამი მიმღები კომისია; კომიტეტის დაწესებულებანი დანაწილებულია მისაღებათ ამ სამ კომისიის შორის, ჯერ ჯერობით მიღებულია (და შესაფერი აქტებია განყოფილებაში) ქარავანი, ექვსი დუქანი, ოთხი საწყობი, ერთი პურის საცხობი, გარაჟი, დანარჩენის მიღება უნდა დამთავრდეს ამ თვის დამლევამდე.

არ არის დამთავრებული საინფორმაციო სექციის ორგანიზაცია, რაც გვიშლის ხელს საგრძნობლათ, ამის მიზეზია ის რომ გამგედ მოწვეული ამხ. გაბილაია ჯერ კიდევ არ შესდგომია თავის მოვალეობათა ასრულებას და არც უცნობია ჯერ როდის შეუდგება იგი მუშაობას.

გლ. კორძაია.

სასურველი ნაბიჯი

19 სექტემბერს საღამოთი შესდგა პროფკავშირების მომარაგების განყოფილების გამგეობის სხდომა.

დიდ მნიშვნელოვანი იყო ეს სხდომა იმ მხრივ რომ აქ უკვე საფუძველი ჩაეყარა მუშათა ბოსტნების ორგანიზაციის საქმეს. მართალია, ეს საკითხი თავის თავად რთული საკითხი არ არის, მაგრამ მისი პრაქტიკულად განხორციელებას აქამომდე აფერხებდა სხვა და სხვა ტეხნიკური დაბრკოლებანი.

მუშათა ბოსტნები, ეს სასწრაფო საკითხთაგანია ჩვენს ცხოვრებაში მისი მოგვარება მოწყობა თავზე უნდა იდვას უსათუოდ პროფკავშირებმა, რომლებმაც არ უნდა დაიშურონ თავიანთ ენერგია ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

თამამად შეუძლია პროფკავშირებს სპეციალური კომისიას საშუალ
მუშათა ბოსტნების საქმე შე
გოს, თუ კი ამ კომისიის თ
რობაც თვალსაჩინო დახმა

დაჰკრა წამმა!

(ამხ. ნ. ცერცვაძეს).

დაჰკრა წამმა!
იგრძენ შვება
განაწამმა!
ჩირაღდნებით დღეს ზეიმობს
გამარჯვებას საქართველო...
გაიშალე მთაში იავ,
აბიბინდი მინდორ-ველო,
წარიტაცე ტლუ ფიქრები,
რომ დაჰქრიან მუდამ თავზე,
ახმაურდი ნაკადულო,
დაგადმოხტი მთიდან მთაზე:
სევდის ჰანგით ნაზარდ მგოსანს
მსურს ვიმღერო შვების ხმაზე...
ჩუ, კიდევაც, ყური უგდე, ხმა მოისმის კვნესა-გლოვის.
ეს შენ დასცა, მებრძოლ-მუშავ, წინამძღოლნი უკუნეთ ხროვის.
და აღსრულდა გაიხარე, იგრძენ შვება განაწამმა,
შენი სატრფო, სატრფო მხარე, შორს არ არის, დაჰკრა წამმა!

ანზორდი.

ზეგ. და რომ მთავრობა ამას დახ- [illegible] გაუწევს, ესეც აშკარაა.

ჩვენ ვიცით, თუ რა დიდ ხარჯებს [illegible] მუშათა სასადილოები, რომ- [illegible] საჭიროებენ თითქმის 500 [illegible].

[illegible] ტოფილს და სხვა.

ამასთანავე ისიც ცხადია, რომ [illegible] სახელდებული საგნების ბაზარზე [illegible] არის ადვილი. ქალაქის შეძლებული ნაწილი, ბურჟუაზია სურსათ-სანოვაგეს იმარაგებს საზამთროდ და ის ბაზარს დასცლის ბოსტნეულობისაგან. სპეკულაციაც თავისას [illegible].

ამას ჩვენ უნდა ვებრძოლოთ!

და ეს შესაძლებელია სხვათა შორის ბოსტნების მოწყობით.

